გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის იოსებ მუმლაძის

2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის

ანგარიში

2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 5 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 104 საკითხის განხილვაში.

ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ფრაქციის წევრი. დავესწარი ფრაქციის 1 სხდომა და მონაწილეობა მივიღე 21 საკითხის განხილვაში.

ასევე ვარ სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის წევრი, დავესწარი 1 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 3 საკითხის განხილვაში. ვარ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი. დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 3 სახდომას და მონაწილეობა მივიღე 3 საკითხის განხილვაში.

მოგახსენებთ, რომ ჩემს მაჟორიტარულ ოლქში შედის გორის მუნიციპალიტეტის 9 სოფელი, სადაც მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობს მოსახლეობასთან შეხვედრები სოფლების მიხედვით.

შეხვედრებზე ძირითადად განიხილება სოფლებში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები და სხვა საჭირბოროტო საკითხები, რომლის მოგვარებასაც ითხოვს მოსახლეობა. შეხვედრების შედეგად გამოვლინდა პრობლემები, რომლებიც ძირითადად არის შიდა საუბნო და ბაღებში მისასვლელი გზების მოწესრიგება, რაც ძალიან დიდ პრობლემას უქმნის მოსახლეობას მოსავლის დაბინავებასთან დაკავშირებით.

ასევე ერთ-ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენს სარწყავი სისტემის მოწესრიგება, ვინაიდან შიდა სარწყავი სისტემა არის გაუმართავი, რადგან გარკვეულ ტერიტორიაზე მელიორაციის სამსახური ვერ ახერხებს კურირებას.

მიმდინარე წელს განხორციელდა მრავალი ინფრასტრუქტურული პროექტი. კერძოდ: სოფელ შერთულში მოხდა სასმელი წყლის რეაბილიტაცია და შიდა საუბნო გზების მოასფალტება.

სოფელ ძევერაში მოეწყო სპორტული მოაედანი, სოფელ ქიწნისში დასრულდა სასმელი წყლის რეაბილიტაცია. ასევე სოფელ ტყვიავში მოწესრიგდა სასმელი წყლის პრობლემა. სოფელ სათემოში გაკეთდა სტადიონი. სოფელ ფლავში ამჟამად

მიმდინარეობს სკვერის მოწყობა და სხვა მრავალი პროექტი ხორციელდება, რომელიც დაფინანსებულია სოფლის პროგრამით.

აღნიშნული მოთხოვნების ნაწილი მოგვარებულ იქნა, ნაწილი აისახება მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში.

ამასთან ერთად აქტიურად ვარ ჩართული მუნიციპალიტეტის როგორც საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების, ასევე მერიის სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში. გარდა ამისა აქტიურად ვმონაწილეობ საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მუშაობაში.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის იოსებ მუმლაძის
ამომრჩევლებთან შეხვედრის დამადასტურებელი

ოქმი

სოფ. ძევერა 2023 წლის 31 ოქტომბერი

სხდომას ესწრებოდნენ :

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ბექა ლობჟანიძე;

ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"- ფრაქციის თავმჯდომარე: კობა ბერიანიძე;

საკრებულოს წევრი: იოსებ მუმლაძე;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: გორის მუნიციპალიტეტის ს.ძევერის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა და საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი ლელა ბზიშვილი.

სხდომას თავმჯდომარეობდა: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე- ბექა ლობჟანიძე.

დღის წესრიგი

საკრებულოს წევრის იოსებ მუმლაძის 2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს წარუდგინა საკრებულოს წევრი იოსებ მუმლაძე და გააკეთა განმარტება, რომ საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩეველს წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

სხდომის დღის წესრიგის მიხედვით სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს იოსებ მუმლაძეს, რომელმაც დეტალურად ისაუბრა 2022 წლის ოქტომბრიდან 2023 წლის 1

ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნა ის გამოწვევები და სიკეთეები რაც თან ახლდა მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას. მოსახლეობის მხრიდან დაისვა შეკითხვები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა ინფრასტრუქტურულ პროექტებს და სოციალურ პრობლემებს. საკრებულოს წევრმა მამუკა ბაზანდარაშვილმა აღნიშნა, რომ აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაში, სადაც ასევე იქნება მოსახლეობის ის პრობლემები ასახული რომლის გაკეთებაც ვერ მოხერხდა ამ წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს: ვამეხ ბუხრაძემ, იოსებ გოხელაშვილმა და სერგო მარიამიძემ.

გადაწყვიტეს: პრობლემების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა, რისთვისაც უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღოს საკრებულოს წევრების და ამომრჩევლების ურთიერთშეხვედრებმა და ურთიერთთანამშრომლობამ.

სხდომის თავმჯდომარე: ბექა ლობჟანიძე;

საკრებულოს წევრი: იოსებ მუმლაძე.